2018 წლის 12 თებერვლის
N41 ხელშეკრულების
დანართი

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" 2018 წლის 12 თებერვლის
N41 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

დაბა ჩაქვი „29" 03 , 2018 წელი

„შემსყიდველი": აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, წარმოდგენილი უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის მაია ხაჯიშვილის სახით ერთი მხრივ და „მიმწოდებელი": შ.პ.ს. „ალტა", წარმოდგენილი შ.პ.ს. „ალტას" დირექტორის კახა ჭოველიძის სახით მეორე მხრივ, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" 2018 წლის 12 თებერვლის N41 ხელშეკრულების 9.2. პუნქტის შესაბამისად, ვაფორმებთ წინამდებარე შეთანხმებას შემდეგზე:

1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" 2018 წლის 12 თებერვლის N41 ხელშეკრულებით (კონსოლიდირებული ტენდერი CON170000077) გათვალისწინებული პირობების კორექტირების აუცილებლობიდან გამომდინარე „შემსყიდველი" და „მიმწოდებელი" ვთანხმდებით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" 2018 წლის 12 თებერვლის N41 ხელშეკრულებაში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

ა) ხელშეკრულების 6.2. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლის (ინსპექტირების) განახორციელებაზე უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ: ვლადიმერ ჭყონია - უმაღლესი საბჭოს აპარატის ლოჯისტიკისა და საფინანსო უზრუნველყოფის დეპარტამენტის ლოჯისტიკის განყოფილების უფროსი და გურამ გაბაიძე - უმაღლესი საბჭოს აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობის, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და პროტოკოლის დეპარტამენტის ქსელის ადმინისტრატორი, IT სპეციალისტი".

ბ) ხელშეკრულების 7.8. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7.8. შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღებასა და მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირები: ვლადიმერ ჭყონია - უმაღლესი საბჭოს აპარატის ლოჯისტიკისა და საფინანსო უზრუნველყოფის დეპარტამენტის ლოჯისტიკის განყოფილების უფროსი და გურამ გაბაიძე - უმაღლესი საბჭოს აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობის, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და პროტოკოლის დეპარტამენტის ქსელის ადმინისტრატორი, IT სპეციალისტი".

2. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" 2018 წლის 12 თებერვლის N41 ხელშეკრულების დანარჩენი პუნქტები და დებულებები უცვლელია და მხარეები ადასტურებენ მათ მიმართ თავიანთ ვალდებულებებს, ისევე როგორც მთლიანად ხელშეკრულების მიმართ.

3. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ და მოქმედებს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" 2018 წლის 12 თებერვლის N41 ხელშეკრულების მოქმედების ვადით.

4. წინამდებარე შეთანხმება დანართის სახით თან ერთვის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" 2018 წლის 12 თებერვლის N41 ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

წინამდებარე შეთანხმება შესრულებულია და ხელმოწერილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად. სამივე ეგზემპლარს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა, ორი ეგზემპლარი ინახება „შემსყიდველთან", ხოლო მესამე ეგზემპლარი „მიმწოდებელთან".

მხარეთა იურიდიული მისამართები და ხელმოწერები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო	შ.პ.ს. „ალტა"
მის.: დაბა ჩაქვი, მეგენეიშვილის ქ. N25	მის.: ქ. თბილისი, ბელიაშვილის ქ. N104
საიდენტიფიკაციო კოდი: 245 425 749	საიდენტიფიკაციო კოდი: 211 380 691
აპარატის უფროსი: მაია ხაჯიშვილი	დირექტორი: კახა ჭოველიძე

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

დაბა ჩაქვი „29“ 03, 2018 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოსა და შ.პ.ს. „ალტას“ შორის 2018 წლის 12 თებერვალს გაფორმებული „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ N41 ხელშეკრულების შესრულების კონტროლის (ინსპექტირების) განხორციელებაზე, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ 2018 წლის 12 თებერვლის N41 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ 2018 წლის 29 03 გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე, უფლებამოსილი პირი (კოორდინატორი) წინამდებარე ხელწერილზე ხელის მოწერით ადასტურებს, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ, CON170000077 კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით, სამი ცალი სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერის სახელმწიფო შესყიდვის (CPV- 30200000) განხორციელებასთან დაკავშირებულ პროცედურებში მისი მონაწილეობა შ.პ.ს. „ალტასთან“ მიმართებაში არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

უმაღლესი საბჭოს აპარატის საზოგადოებასთან
ურთიერთობის, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა
და პროტოკოლის დეპარტამენტის ქსელის
ადმინისტრატორი, IT სპეციალისტი: --------- გურამ გაბაიძე